სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

25/08/2025

MES 8 25 0001019311

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, მერაბ ბაღათურიას 2025 წლის 04 აგვისტოს (რეგისტრაციის №947138) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვრონ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებსა და სხვა შენობებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი).
2. ობიექტის დაცვის უფროსებმა მიმაგრებულ ტერიტორიაზე უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების სრული დაცვა.
3. კორპუსის კომენდანტებს დაევალოთ საევაკუაციო კიბის უჯრედებზე კონტროლის უზრუნველყოფა, მათი ჩახერგვის თავიდან აცილების მიზნით.

4. ბრძანების შესრულების კონტროლი და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა დაევალოს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სახანძრო-უსაფრთხოების ჯგუფის უფროსს, მერაბ გაგლოშვილს.
5. ბრძანების შესრულებაზე საერთო კონტროლის განხორციელება დაეკისროს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, მერაბ ბაღათურიას.
6. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებსა და სხვა შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.
7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

რექტორი
გურგენიძე დავით